1877--1895

№ 14
პარასკევი, 20 იანვარი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 14
პარასკევი, 20 იანვარი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

## გამოფენა

დარჩება მხოლოდ ორს კვირას, რომ ყველას ჰქონდეს შეძლება ჰნახოს ჩვენის დროისათვის ორი უდიდესი საკვირველება

1) ქონდრის კაცები

ყველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

მარკიზ პოლგე, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9\frac{1}{2}$ კილ.

მარკიზა ლუიზა, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10\frac{1}{2}$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტუუპნი-დანი

რადიკა და დოოდიკა

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. მოწაფეები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარს ფასს.

(20—6.—11)

ქართული თეატრი

პარასკევს, 20 იანვარს 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ მ. საფაროვისა და ნ. ჯორჯაძის მონაწილეობით

ბენეფისი

ვასილ აბაშიძისა

## რევიზორი

კომ. 5 მოქმ. გოგოლისა, თარ. ჰიჭინაძესი

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: ჯორჯაძე, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „გაიყარნეთ“, კომედ. 3 მოქმედებად და „სამშობლო“ დრ. 5 მოქ. ერისთავისა

რეჟისორი ლ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## ტფილისი, 20 იანვარი

გუშინ დეპეშამ გადმოგვცა სიტყვები, რომლითაც ხელმწიფეს მიუმართავს რუსეთის თავად-აზნაურობისა, ერობისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისათვის. ეს სიტყვები ჩვენის ახალგაზდა მეფისა ისეთი განმარტებულის კილოთია გამოთქმული, რომ სრულიად განფანტავს სხვა-და სხვა იმედსა და ოცნებას, რომლითაც სცხოვრობდა თურმე აგერ რამდენიმე თვეა რუსეთის საზოგადოება. ამ იმედების გამო ისეთი სერიოზული ორგანო, როგორიც ჟურნალი ,,ევროპ. ვესტ.'' ერთ-ერთ თავისს შინაურ ქრონიკაში უკვე აფრთხილებდა საზოგადოებას და ურჩევდა, რომ ღირსეულად დაეფასებინა სინამდვილე აწინდელის მდგომარეობისა და არ გატაცებულიყო ისეთის იმედებით, რომელთაც არავითარი საფუძველი არა ჰქონდა. მაგრამ, როგორც გუშინდელ დეპეშიდგან სჩანს, მრავალგვარი ხმა მაინც ტრიალებდა საზოგადოებაში და თვით ზოგიერთის ერობის წარმომადგენელნიც-კი გამსჭვალულიყვნენ ამ იმედებითა და ოცნებებით. ამიტომ იმპერატორის სიტყვას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ, და ამას იქით მცირეოდენს ეჭვს იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგება რუსეთის შინაგანი პოლიტიკა, ადგილი აღარ ექნება.

აზრი გამოთქმული რუსეთის საუკეთესო ჟურნალისაგან, მეტადრე დღეს, მარტივად და გულისხმიეროდ გვეჩვენება და, მართლა რომ საკვირველია, რამ დაჰბადა იმედი, რომელსაც არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, როგორ გაეტაცა უადგილო სასოებას განათლებული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა, ის ნაწილი, რომელსაც კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რას უნდა მოელოდეს და რის მოლოდინის საფუძველი არა აქვს.

სამოც-და-ათ წლების მიწურულს რუსეთის გლეხობაში, ღმერთმან უწყის, საიდგან, გავრცელდა ყოვლად-უაზრო ხმა, ვითომც მიწა წყალის საერთო განაწილება უნდა მოხდესო. ადგილობრივ დაწესებულებათა ბევრი ღონისძიება იხმარეს როგორმე მოესპოთ ამ ხმის გავრცელება, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. მაშინ თვით განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე III გვირგვინის კურთხევის დროს მოსკოვში შეგროვილს მამასახლისებს უბრძანა: „დაბრუნდით თქვენდა რწმუნებულს სოფლებში და ჩააგონეთ თქვენს ძმებს,—ნუ უგდებენ ყურს იმ მაცდურს ხმებს, რომელთა გავრცელებას სცდილობენ გლეხ-კაცობის მტერნი და არა მოყვარენიო“. ამგვარი სიტყვები მეფისა, რასაკვირველია, სრულიად საკმარისი იყო დაერწმუნებინა გლეხ კაცობა, რომ იგი სცდებოდა. ამისივე მსგავსი ამბავი დაემართა ახლაც, მაგრამ არა გლეხობასა, არამედ რუსეთისმწერლობასა და განათლებულს საზოგადოებას. საკვირველი არა არის-რა, რომ უვიცმა და განუვითარებელმა ბრბომ ყური ათხოვოს სხვა-და-სხვა დაუჯერებელს ხმას, მაგრამ ძნელად ასახსნელია, როდესაც განათლებული საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს თავ-დაუჭერელ ოპტიმისტთა სიზმრებსა და ოცნებათ. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ პროვინციალურს პრესსას მიეტევება კიდევ, თუ რომელსამე ხმას იგი შეცდომაში შეჰყავს, მაგრამ სატახტო ქალაქთა მწერლობა, რომელიც ასე ახლოს არის უმაღლესს მთავრობასთან და უნდა იცოდეს საქმეთა ნამდვილი მიმდინარეობა რათ უნდა აჭყოლიყო ახირებულს ფეხის ხმას?!.

ლილი

## ახალი ამბავი

*** დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ჩვენის სცენის სახალხო

## ფელეტონი

### კაცობრიობა და ხალხოსნობა.

წერილი I-ლი

კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა *)

როგორათაც კაცი არის შემდგარი სხვა-და-სხვა ნაწილებიდამ, ეგრეთვე ცალკე ადამიანებიდამ არის შემდგარი ოჯახი, ოჯახიდამ ერი, ერიდამ კაცობრიობა. როგორათაც ცალკე ადამიანის შემმადგენელს ნაწილს აქვს თავისი განსაკუთრებითი თვისებანი, და ამ თვისებათა განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი, ეგრეთვე ოჯახში ყველა იმის შემმადგენელს ადამიანს აქვს საკუთარი თვისებანი და ამ თვისებათა საკუთარი მოთხოვნილებანი, ერში ოჯახს, კაცობრიობაში ერს. თუ ამ განსაკუთრებითი თვისებათა არა აქვთ თავისი საზრდო, არა აქვთ დაკმაყოფილება, ეს მოქმედობს ცუდათ ამ განსაკუთრებითი თვისებაებზედ, ეს ცუდი მოქმედება განსაკუთრებითი თვისებიდამ გადადის მთელი ადამიანის აგებულებაზედ: ორგანიზმი უძლურდება, სნეულდება, სნეული ხდება ტვირთი ოჯახისა, ამასთან იძლევა შთამომავალსაც უძლურსა, სნეულსა. ამითი შეექვს ოჯახში უძლურება, სნეულება. ამას მოსდევს ეკონომიური უძლურებაცა, რომელიც უმატებს ფიზიოლოგიურს უძლურებას. რაც ხდება ცალკე ადამიანზედ, ცალკე ადამიანიდამ ოჯახზედ, ის ხდება ოჯახიდამ ერზედ, ერებიდამ კაცობრიობაზედ. თუ ერს არ უსრულდება განსაკუთრებით თვისებათა მოთხოვნილებანი, არა აქვს შეჯერებული ეს მოთხოვნილებანი, მას მოსდის ის, რაც ცალკე ადამიანს, ცალკე ადამიანიდამ ოჯახს: ის სნეულდება, უძლურდება. ფიზიოლოგიურს უძლურებას ერთვის ეკონომიური უძლურება. ეკონომიური უძლურება უფრო აცხოველებს და აძლიერებს ფიზიოლოგიურს უძლურებას. ეს ერის უძლურება, როგორც კაცობრიობის შემმადგენელი ნაწილისა, ჰმოქმედებს დანაშთენს კაცობრიობაზედაც, ესე იგი სხვა ერებზედ. ამის გამო, რავდენათაც ვალია ყველა ცალკე პირისა, რომ ყოველივე ბუნებითი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული ჰქონდეს, ეგრეთვე ოჯახის ვალია ყველა თავისი შემმადგენელი ცალკე პირების განსაკუთრებითი თვისებანი დააკმაყოფილოს, რომ ვნება, რომელიც მიეცემა ამ პირს ამ დაუკმაყოფილებლობით, არ გადავიდეს მთელს ოჯახზედ. რავდენადაც ეს არის სავალდებულო ოჯახისათვის ოჯახის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ, იმდენად სავალდებულოა ერისაგან ოჯახის ყურადღება და კაცობრიობისაგან—ერებისა, რომ ამათი განსაკუთრებითი თვისებანი არ შეიმუსრნენ ძალადობით, უყურადღებობით, და ამითი არ მიეცეს ვნება მთელს კაცობრიობასაცა. მხოლოდ მაშინ მიდის ვრცელს და ჯეროვანს წარმატების გზაზედ კაცობრიობა, როდესაც ყველა კაცობრიობის შემმადგენელი ნაწილი, ცალკე პირიდამ დაწყობილი მთელს ხალხებამდის, იქნება თანაბარს ბედნიერებაში, ექნება დაკმაყოფილებული, გარდა საერთო თვისებათა, განსაკუთრებითი თვისებანი და მისნი მოთხოვნილებანი.

აი რა გვესმის ეროვნულს განსაკუთრებით თვისებაებზედ მცოდნე და ამ საქმის შემსწავლე კაცისაგან. გამოჩენილი ეკონომისტი მიულერი, როდესაც არჩევდა ადამ სმიტის ეკონომიურს თეორიას, ამბობს შემდეგს: „ყველა ერი ბუნებითვე იმ გვარს გარემოებაში ჩავარდა, რომ ეს ბუნებრივი გარემოებანი ჰბადებენ მაში ბუნებრივთა განსაკუთრებითთა თვისებათა, რომელთაც აქვთ თავისი განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი. ყველა სცხოვრობს დიდი ხნის განმავლობაში სულ სხვა რიგს გეოგრაფიულს სამზღვრებსა და ადგილებში, იყო სხვა რიგთა ბუნებრივთ და პოლიტიკურთ კანონთა და გარემოებათა გავლენის ქვეშ, ვიდრე სხვა ერნი და სახელმწიფონი. ამ გარემოებათ დაჰბადეს ყველა ერში თავისი განსაკუთრებითი თვისებანი, განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი“.

ამას მიხვდნენ დღეს თვით განათლებული მთავრობანიცა. მოვიგონოთ სიტყვა და პროკლამაცია ლორდ ნორბრუკისა, რომელიც ინგლისის მთავრობისაგან იყო ინდოეთში ღენერალ-ღუბერნატორათ დანიშნული პირველ ხანებში, როდესაც ინდოეთი გადავიდა ინგლისის მთავრობის ხელთა. ის აღუთქვამდა ინდოთა, რომ ინგლისის მთავრობა უყურებს იმათ, როგორც თვით ინგლისის ხალხს, აძლევს მათ იმავე უფლებათა, რაცა აქვთ ინგლისელთ, მათი ინტერესები, მათი ჩვეულებანი, მათი უფლებანი დარჩებიან ხელშეუხებელნი, და როდესაც ისინი მივლენ იმ პოლიტიკურს განვითარებამდის, რომ შეეძლებათ თვითონ თავისი პატრონობა, ინგლისელები ვალად რაცხვენ აღარ გაერივნენ მათს საქმეში და დარჩებიან მათთან როგორც გარეშე მოკავშირენი.

ამ დღეებში დანიშნულმა დიდებული გლადსტონის მაგიერათ პირველ მინისტრად ინგლისში, ლორდ როზბერიმ აი რა წარმოსთქვა 1882 წ. წინაშე ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა, რომლისაც რექტორად იყო ეს მაშინ: „თუმცა სასურველია რომ ყველა იმ ხალხთ, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში ჰქონდეთ საჭირო და სანატრელი ღირსებანი, მაგრამ ჩვენ, როგორც პატრიოტთ, არა გვმართებს მოვითხოვოთ, რომ ყველა ეს ერნი იმ თვისებისანი გახდნენ, რაც ჩვენა ვართ. ეს ისრევე არ ივარგებს, როგორც არ ივარგებს, რომ ყველა ჩვენი ფაბრიკების პატრონებს გამოჰყავდეთ ერთი და იგივე გვარი საქონელი, ანუ ჩვენი მეცნიერნი იკვლევდნენ ერთსა და იმავე საქმეს, ადგნენ ერთსა და იმავე მეცნიერებას. ასეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც არის დიდ-ბრიტანია, უნდა წარმოადგენდეს იმ დიდს ბოლჩას, რომელსაც ოთხივე წვერი მაგრა აქვს ერთმანერთზედ გადაყურთმაჯებული და ამ ბოლჩაში არიან მოქცეულნი ყველა რასსის ხალხნი, რომელნიც თანაბრად ცდილობენ მაგრა ეჭიროთ ბოლჩის ნასკვები, რომ არ გაიშალოს ისა და არ გაიფანტნენ ეს ხალხნი ცალკ-ცალკე, არ გაშორდნენ ერთმანერთს. ინგლისი არ უნდა დაემსგავსოს ძველს რომს, რომელიც ცდილობდა დამორჩილებულს ერებში, ვისაც მოერეოდა სული მოესპო, ვისაც არა და მათთვის დაედო თვისი ფერი და სახე. მუსრს არ მოსდევს მშვიდობა, ერთგვარობას, თავისს მსგავსად ქცევას არ მოსდევს მეგობრობა, კავშირი“.

რა ბოლო აქვთ იმ ერთა, რომელთაც განსაკუთრებითი თვისებათა სძალადობენ, უხშობენ, უვიწროე-

*) იხ. «ივერია», № 13

და საზოგადოების საყვარელის არტისტის ვასილ აბაშიძის ბენეფისი. ამ არტისტის ბენეფისს საერთოდ ყოველთვის ისეთის სიამოვნებით ესწრება საზოგადოება, რომ ეხლაც უეჭველია, თავისს პატივისცემას დ თანაგრძნობას არ მოაკლებს არტისტს.

წარმოსადგენად მებენეფისეს ამოურჩევია გოგოლის ხუთ-მოქმედებიანი კომედია «რევიზორი». მონაწილეობას იღებენ ქ-ნი მ. საფაროვისა და ბ-ნი ნ. ჯორჯაძე, რომელიც კარგა ხანია განშორდა ქართულს სცენას და ამის შემდეგ დღეს პირველად გამოდის სცენაზე.

*** 17 იანვარს, ტფილისის დეპუტაცია, რომელიც ქალაქის თავის იზმაილოვისა და ხმოსნებ კალოუბნელისა და ალიხანოვისაგან შესდგება, ხელმწიფის წინაშე წამდგარა და პურ-მარილი მიურთმევია. ქალაქის თავმა უქვეშევრდომილესი გრძნობანი განუცხადა ხელმწიფეს მიულოცა და მოახსენა სურვილი, რომ ტფილისშიაც ვეღირსოთ თქვენის უდიდებულესობის ბედნიერად დახვედრასაო. მისმა უდიდებულესობამ მადლობა უბრძანა ამ გრძნობათა სურვილის გამოთქმისა და პურ-მარილისათვის.

*** პეტერბურგიდგან დეპეშით იწერებიან: გაზეთები ხმას ავრცელებენ, ვითომ შუამდგომლობა იყოს აღძრული, კავკასიაში უმაღლესის სასწავლებლის დაარსების შესახებაო. თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, სასწავლებელი ან ქუთაისსა და ან ბათუმში იქნება დაარსებულიო.

*** საზოგადოებაში სხვა-და-სხვა არსებულ აზრების თავიდგან ასაცილებლად ყელჭირვების შრატის წამლობის შესახებ, სარწმუნო წყაროებიდგან ატყობინებენ გაზ. «ნოვ. ობოზრ.»-ს, რომ ყელჭირვების შრატის საფრქვეველი (спринцовка) ჩვეულებრივის საფრქვეველისაგან მხოლოდ სიდიდით თურმე გაირჩევა (20 გრ.) და არა თავისის მოყვანილობით. ტფილისში ჯერ არ არის გასასყიდი ამისთანა საფრქვეველები; აქ ამ ჟამად მხოლოდ მკურნალთ ხალათოვსა და ავთანდილოვსა აქვთ ეს საფრქვეველები, პარისსა და ბერლინიდგან ჩამოუტანიათ. ასეთივე საფრქვეველი მოიპოვება ტფილისის საქალაქო სამკურნალოს ლაბორატორიაში, რომელსაც უკვე გამოუწერია რამდენიმე ცალი კიდევ და ამ დღეებში მოელიან ტფილისში. ექიმები ხალათოვი და ავთანდილოვი აცხადებენ სურვილს ყველა ყელჭირვებიანს მოახმარონ ეს იარაღი წამლობის დროს.

*** სირაჯხანაში ამ ჟამად აუარებელი ყალბი აბაზი არის თურმე. ეს ყალბი აბაზები კალისაგან არის გაკეთებული. თუ რამდენად გავრცელებულია, ყალბი ფული, ეს იმ მაგალითიდგანა სჩანს, რომ ამ დღეებში ერთმა სირაჯმა ვიღაც რ—ს ხუთი მანეთის ხურდად სულ ყალბი აბაზიანები მისცა თურმე. («ტფ. ლის.»)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მ. კ. მ. გაზ. „რაზვედჩიკ«-ს მე № 221-ში ინდოელთა ენის შესწავლას დიდს ყურადღებას აქცევს:

„ინდოსტანის“ ენა, რომელიც ჩრდილოეთის ინდოეთში შემუშავდა თურანელ დამპყრობელთა დროს წვრილმან გაფანტულ ენებისაგან, წლობით უფრო და უფრო ვრცელდება უზარმაზარ ნახევარ კუნძულის მცხოვრებთა შორის: ამ ჟამად ჩინურის ენის შემდეგ ეს ენა მეორე ენად ითვლება, რომლითაც 100,000000 მცხოვრებლებზედ მეტი ლაპარაკობს. აზიაში იგი ცივილიზაციის ერთს უმთავრეს ელემენტად არის მიღებული: იგია ინდოეთის ჯარების საწვრთნელად სახმარებელი ენა (მადრასის პროვინციათა გარდა), იგივეა ენა ადმინისტრატორთა, ვაჭართა, მისსიონერთა, ჟურნალისტთა,—ენა პოეზიისა და ახალ-ინდუსურის ხელოვნებისა.

ეს ენა რუსეთის მოღვაწეთა მშვიდობიან, მაგრამ ძლიერ იარაღად გამოადგებათ; ამ ენის შესწავლა ერთად ერთს სასურველ მოვალეობად უნდა იყოს მიღებული აზიის მივარდნილ ადგილას სამსახურისათვის.

ზანზიბარიდგან დაწყებული ინდომალაის არხიპელაგამდის დიდად გავრცელებულია ეს ენა. გერმანელნი, რომლებიც აღმოსავლეთის აფრიკაში მკვიდრდებიან, საპოლიტიკო და საკომერციო აზრით მედამ წელს სხ. და სხ. სახელმძღვანელოებსა ჰბეჭდავენ ამ ენის შესასწავლად.

მით უმეტესად რუსეთი უნდა სცდილობდეს ამ ენის შესწავლას, რადგანაც მთელის $^2/_3$-ით აზიის საზღვრებს ეხება და ინდოეთზედაც ძალიან დაახლოვებულიაო. დრო არის, რომ უნივერსიტეტებსა, სამხედრო აკადემიებსა და აღმოსავლეთის ენების კურსებში მსურველთათვის შემოღებული იყოს ამ ენის სწავლა, აგრეთვე ყუბანისა, თერგისა, ურალისა და ორენბურგისა და ციმბირის ყაზახთა შორისაც და თურქესტანის სკოლებში ერთ უმთავრეს საგნად იყოს გამხდარი მისი ცოდნაო.

და ამ აზრის მისაღწევად სხ. და სხ. საშუალებას ასახელებს „რაზვედჩიკის“ თანამშრომელი, რითაც ინდოთა ენა რუსეთის ქვეშევრდომთა შორის უნდა გავრცელდეს: სხვათა შორის სასურველად მიაჩნია, რომ ტაშკენტში რაიმე ჟურნალი ან გაზეთი იყოს დაარსებული „ინდოსტანის“ ენაზე, გამოიწერონ „ინდოსტანიდგან“ ჟურნალ-გაზეთები და დაწვრილებით შეისწავლონ იმათი ზნე-ჩვეულებანი, ქვეყანა. და სხ.

ეჭვი არ არის ამითი, რუსეთს იგივე სურს, რაც ფრანგებს, რომლებიც ეხლა დიდის გულმოდგინეობითა სწავლობენ გერმანულს ენას.

## რუსეთის ცხოვრება

—

ხარკოვის წმინდა მთებში ავგისტოს მომხდარ უწესოების გამო, სადაც ბაზრობის დროს გამხეცებულმა გლეხებმა—გრაფის რიბოპიერის ტყის რამდენიმე მცველი მთიელი მოჰკლეს, საბრალდებულო განაჩენი უკვე შეუდგენიათ. სამართალშია მიცემული 50 კაცი, მოწმად გამოწვეული—300 კაცი; სამართალში მიცემულთაგანი ზოგი განთავისუფლებულია. საქმეს მოისმენს ხარკოვის სასამართლო პალატა მარტში და ამ საქმის გარჩევას წოდებათა წარმომადგენელნიც დაესწრებიან.

—

სასოფლო სამეურნეო საბჭოს ჰსურს დაარსოს გლეხებისათვის საზამთრო სამეურნეო სასწავლებელი, გაჰმართოს მეურნეობის შესახებ საუბრები და სხ. ნება დართოს მსურველთ პრაქტიკანტობისა სამეურნეო სასწავლებელში. მეურნეობისა და მეოჯახეობის შესასწავლად სასარგებლოდ იცნეს ერის სხვა-და-სხვა წოდებათ ლექციები უკითხონ და ამასთანავე სასურველად მიაჩნიათ ლექციები ხალხის გასაგებად იყოს განმარტებული და რაც უფრო საჭირო საგნებია, უმთავრესი ყურადღება მიიქცეს. სასურველია აგრეთვე სამეურნეო ცოდნა გავრცელდეს სასულიერო წოდების შორის, ჯარში და სხ. ამის გარდა, სასოფლო სამეურნეო საბჭომ სასურველად დაინახა სამეურნეო საგნების სწავლება შემოიღოს სამოსწავლებლო სემინარიებში, თუ გარემოება ხელს შეუწყობს.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ამას წინად ერთმა პრუსიელმა გვარად ფონ-მასსოვმა ერთი წიგნაკი გამოსცა, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელს გერმანიაში. წიგნაკის ავტორი მიჰმართავს მთავრობას და ამბობს ორში ერთ-ერთი უნდა ირჩიოო: ან საყოველთაო ცვლილებათა შემოღება და ან რევოლიუციაო. თვით ავტორი კი არც რევოლიუციონერია, არც სოციალისტი და თითქმის არც ლიბერალი. იგი მხოლოდ გულითა და სულით სახელმწიფოს მომხრეა. მას სურს რომ სახელმწიფომ, სარწმუნოებისა, ზნეობისა და წეს-რიგის სახელით, ცხოვრების ყოველ მხარეში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს. იგი აღნიშნავს, რომ პრუსიის ორგანიზმი ცალმხრივ განვითარდაო. მთავრობამ უმთავრესი ყურადღება ჯარის გაძლიერებას მიაქცია და დანარჩენი-კი: ხალხის განათლება, საზოგადო ქველმოქმედება, მუშათა საქმე, საადმინისტრაციო წეს-წყობილება უწინდელსავე მდგომარეობაშიაო, თუ ამასაც არ მიექცა ყურადღება, გერ,

---

ბენ, არუკმაყოფილობენ,—ამას გვიჩვენებენ მრავალნი და აუარებელნი მაგალითნი. სპენსერს თავისს თხზულებებში: „საფუძველნი ბიოლოგიისა“, „საფუძველნი სოციოლოგიისა“, „გახსნილება პოლიტიკურთა წყობილებათა“, მოჰყავს მრავალი მაგალითი, რომ ის ერნი, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში სულ სხვა განვითარების გზაზედ იდგნენ, ვიდრე სხვა ერები, სულ სხვა თვისებისა და აგებულებისანი შეიქმნენ. და როდესაც ესენი მათთა დამპყრობთა სულ სხვა გზასა და გარემოებაში ჩააყენეს, შეიქნენ უნაყოფონი, აღიგავნენ ქვეყნის პირიდამ. ამასვე ვკითხულობთ ბეჯგოტის წიგნში „ბუნების მეძიებლობა და პოლიტიკა“. ამასვე მოგვითხრობენ მრავალნი ანტროპოლოგნი და სხვა ბუნების მეძიებელნი. გრატიოლე, ბროკა, ჯიბსონი შაფჰაუზენი, ლებოკი, მარციუსი, სპიქსი, კრაუფერდი და სხვანი მრავალნი ერთხმივ ამოწმებენ, რომ ერთა განსაკუთრებითი თვისებათა შეუხამებლად მოქცევას და ძალადობას მოსდევს მოუძლურება და ხშირად ბოლოს მოღებაც ამ ერებისაო. დარვინი ამბობს: «როდესაც სულდგმულნი ანუ მცენარენი შორდებიან იმ ბუნებრივთა გარემოებათა, რომლებზედაც თავისის ცხოვრებითა და აგებულებით არიან მიმარჯვებულნი, მათი საშვილოსნოს მოწყობილება ჰკარგავსა ძალას, ხშირად სრულიადაც იშლებაო». მართალია, ასეთი სასტიკობა მოუძლურებისა და მოსპობისა, რასაც ეს მეცნიერნი გვიწერენ ველური ხალხების შესახებ, არ არის მაღლათ მდგომ ტომთა და ერთა ცხოვრებაში, მაგრამ ეს მაგალითები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ არის ყველა ერში განსაკუთრებითი თვისებანი, და თუ ამ თვისებათა მოთხოვნილებათა არა აქვთ საკმაო ყურადღება მიქცეული, არა აქვთ ხელი შეწყობილი,—თუმცა ი[illegible]რე ცხადლივ და სწრაფათ არა, როგორც ეს მოუვიდათ თასმანელთა, დამარელთა, ამერიკელთა ინდოთა ტომთა და სხვა ველურთა ხალხთა,—დაემართებათ თვით უმაღლესთა ტომთა ცოტ-ცოტათი, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინცა და მაინც უეჭველად, აუცილებლად.

ყველა ზემოთ თქმულიდამ ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა ხალხს აქვს თავისი განსაკუთრებითი თვისებანი, რომელნიც თუ არ დააკმაყოფილა, მოელის ცუდი ბოლო. ესეც ხომ ცხადია, რომ კაცობრიობა არის შემდგარი ერებიდამ. ისიც ვნახეთ, რომ ერთი ერის უძლურება ჰმოქმედებს სხვებზედაც, მაშასადამე კაცობრიობაზედაც. და თუ არ მივაქციეთ ყურადღება და არ უპატრონეთ ჯეროვანად ყველა ერთა განსაკუთრებითთა თვისებათა, ცხადია ეს კიდევ უფრო ცუდათ იმოქმედებს მთელს კაცობრიობაზედ: თუ ერთი ნაწილის უძლურება ახდენს მთელს აგებულებას, ცხადია, თუ ყველა ნაწილი ექნება აგებულებას მოუძლურებული, მაშინ უარესი დაემართება. აგრეთვე კაცობრიობაში: თუ ერთი ერის ნაკლი ვნებს კაცობრიობას, უეჭველია, დამამხობელი განვლენა ექნება, თუ ყველა მისი შემადგენელნი ერნი იქნებიან ნაკლით სავსენი.

აი, რა მოსდევს ეროვნების ტყავის გახდას უადგილოდ, უდროვოდ, ეროვნების ფერის ცვლას, განსაკუთრებითი თვისებათა დაუცავობას, გაუფრთხილებლობას, ძალადობით სხვის ქერქში შეძრომას.

მაგრამ ამ ჩვენს მსჯელობას მოსდევს კიდევ შემდეგი პასუხი კოსმოპოლიტთ-ევოლიუციონისტთა:

ამ შეერთებაში, ამ ძალადობაში დევს საფუძველი კაცობრიობის მომავალი პროგრესსისა, ევოლიუციისა. ამ ბრძოლაში იხოცებიან უარესნი, რჩებიან უკეთესნი. უარესი გადეგება უძეოდ, უშთამომავლოდ, მაშასადამე უარესობა მოისპობა, დარჩება უკეთესობა. უკეთესობა მოიცემა უკეთესს შთამომავალს. მაშასადამე ამითი კაცობრიობა შესდგება უკეთესთაგან. სასურველიც მომავალი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ეს არისო.

მინამ გადავალთ განსაკუთრებით ამის პასუხზედ, საჭიროა მოკლედ გადავავლოთ თვალი იმ გარემოებათა, რომელნიც აიძულებენ და მიჰყავთ ერნი შესაერთებლად, გასათანასწორებლად, რომელსაც ჰქადაგობენ თვით კოსმოპოლიტ-ევოლიუციონისტები და რომელიც თვით მათვე მიაჩნიათ ევოლიუციის იდეალად. ამაზედ ცოტაოდნათ ზემოთაცა გვქონდა ლაპარაკი, და აქ უფრო ვრცლად დაგვჭირდება ამაზედ მსჯელობა.

აქ ხშირად ხსენებული მეცნიერი ფრიდრიხ ლისტი აი როგორ გვისახავს იმ გარემოებათ, რომელთაც მიჰყავთ კაცობრიობა შეერთების გზაზედ მთელი კაცობრიობის ინტერესების დასაცველად, რომლითაც ისახება თვით წადილი კოსმოპოლიტთა.

„შეერთება—ასსოციაცია—იმ ძალისა, რომელიც ცალკე ადამიანში იმყოფება, არის უძლიერესი სახსარი საერთო საქმეების შესასრულებლათ, ყველა კაცის ბედნიერების მისაწდომათ. ცალკე გამდგარი განზედ კაცი არის უძლური, უსახსრო. რაც უფრო მეტია ეს შეერთებული ძალა, იმდენი უფრო დიდი და სრულია ნაყოფი კაცთა, როგორც გონებრივი ეგრეთვე ქონებრივი.

„უმაღლესი შეერთებული ძალა არის როდესაც კაცობრიობა მთლათ შეერთდება. როგორც სახელმწიფოსა ანუ ნაციაში კერძო კაცი უფრო მისწვდება თავისს საკუთარს წადილს და შეისრულებს საკუთართა მოთხოვნილებათა შეერთებული ძალით და შრომით, ვიდრე მაშინ, რომ მარტო ცალკე გამდგარი ყოფილიყო,—ეგრეთვე ყველა ნაცია ბევრით უფრო ადვილად მისწვდებიან თავისთა წადილთ, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომ ყველა ერები შეერთდენ ერთის უფლებით, საუკუნო მშვიდობით, თავისუფალი ურთი-ერთთა შორის კავშირით.

„თვით ბუნებას მიჰყავს ერნი ამ გვარი შეერთების გზაზედ. ბუნების სხვა და სხვა რიგობა, ბუნების სხვა და სხვა გვარი ნაყოფი საჭიროთა ჰხდის ამათ ერთმანეთისათვის...

„ფილოსოფია თხოულობს, განაგრძობს იგივე ლისტი,—მთელი კაცობრიობის ინტერესების დასაცველად, წარსამატებლად, რომ ერნი თან და თან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეერთდენ, მოიშორონ ომები თავიდამ, დაამკვიდრონ ხალხთა შორის თანასწორი უფლებანი, თან და თან შესცვალონ გარემოებანი, რომელნიც ჰყოფენ სახელმწიფოებს ერთმანეთში და აშორებენ ამათ ერთმანეთს, მის მაგიერ დააწესონ და დაამკვიდრონ ფედერალური წყობილებანი, თავისუფალი ურთიერთობა ერთა შორის როგორც ქონებით, ეგრეთვე გონებით. სიტყვით, ფილოსოფია თხოულობს ყველა ხალხები შეერთდნენ, შესდგეს, ერთი კანონის ქვეშ მსოფლიო კავშირი კაცთა შორის.“

გარდა სხვა გარემოებათა, რომლებზედაც ვრცლად ლაპარაკი ჩვენ შორს წაგვიყვანდა, კაცობრიობა თვით იმ გარემოებასაც მიჰყავს შეერთების გზაზედ, რომ ერთა და კაცთა შორის არის ეს საშინელი შუღლი უპირატესობასა და ეკონომიურათ ერთმანერთის ძლევაზედ. რომ მსოფლიო სავაჭრო და პოლიტიკურს ასპარეზზედ დაიჭირონ პირველი ადგილი, სხვები ჰყავნდეთ მონებაში, მორჩილებაში, გამოსარჩენათ, ყველა ერნი აყენებენ,—რასაკვირველია, ვინცკი შეჰპმია მსოფლიო საქმეთა,—თავისს თავს ასრულებს ჯაფის შრომითა, რომ ეს შრომა სჩაგრავს კაცს როგორც აგებულობით, ეგრეთვე გონებრივ. რომ მოინდომოს რომელმამე ხალხმა დაადგეს ზომიერს შრომაზედ, რომ ამ შრომით არ იჩაგრებოდეს, დაიცვას თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიას დიდი უბედურება მოელისო. წერა-კითხვა გავრცელებულია; ხალხი კითხულობს, ჰსურს სწავლა, მაგრამ აბა როგორ ვაკმაყოფილებთ იმათ მოთხოვნილებასა? ასევე არის უნივერსიტეტებშიაც. განათლებას განსაკუთრებული ხასიათი ეძლევა, მაგრამ უგემოდ-კი. უმაღლესი სწავლა მრავლადა ჰფენს სპეციალურ განათლებასა და გონებრივი განათლება-კი ისევ იმ დაბალს ნიადაგზედ რჩება. ბიუროკრატიას ყოვლად-შემძლებლობა მარტო უკან დაწევაზედ ეტყობა და არა წინ-მსვლელობაზედ. მუშა ხალხი გერმანიის ერთის კუთხიდგან მეორეში გადადის. არავითარი წეს-რიგი არა აქვთ და არც მთავრობა სცდილობს იქით მიუთითოს, სადაც მართლა საჭიროა. საზოგადო ქველ-მოქმედება თავისებურად ჰმოქმედობს და არავითარი კავშირი არა აქვს იმ კეთილს ხალხთან, რომელთაც ჰსურთ თავისის მოძმის შველა და დახმარება.

—

**საბერძნეთი.** „დელ ნიუს“-ის სიტყვით, ადმირალს კანარისს ურჩევია საბერძნეთის მეფისათვის, ახალი კონსტიტუცია მიანიჭეთ საბერძნეთსაო.

—

ორსავე პარლამენტში წაკითხულს ეპისტოლეში ფორი მადლობას უცხადებს არჩევისათვის, და ამ თვისს წილად ნახვედრს პატივს სავსებით შრომის მოყვარე დემოკრატიას აწერს, რომელსაც ეკუთვნის თვით ფორი. კონგრესის წევრთ მოისურვეს, დემოკრატიას თვისი პატივისცემა განუცხადონ იმ მშვიდობიანის შრომისათვის, რომლითაც იგინი ჰფიქრობენ, საფრანგეთს დიდება მოუხვეჭონო. ფორი დასძენს, რომ კარგადა მაქვს შეგნებული სიმძიმე ჩემ მიერ ნაკისრებ მოვალეობისა, მაგრამ ამასთანავე განვაცხადებ, რომ ამ საქმეს თავ-გამოდებით ვემსახურებიო. მუდამ იმისი მეცადინე ვიქნები, რომ საკონსტიტუციო კანონებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და სიმართლითა და პატიოსნურად ასრულებდეს პარლამენტი თავისს მოვალეობასაო. შემდეგ ფორი აღნიშნავს, რა მშვიდობიანად გადავიდა პრეზიდენტის უფლება ერთის კაცისაგან მეორესთან. ამითი პარლამენტმა ის დაამტკიცა, რომ დაწესებულებათა მშვიდობიანი მოქმედება ამ ჩვენს მდგომარეობაში სახელმწიფო ცხოვრების წინ სვლის უზრუნველყოფას ხელს უწყობსო; რესპუბლიკის წეს-წყობილებას არავითარი საშიში შედეგი არ მოელის მაშინ, როდესაც ერი თავისს ნებას თვისის წარმომადგენლების პირით აცხადებს, როდესაც-კი ეს საჭიროა, ხოლო ეს უკანასკნელნი (წარმომადგენელნი) დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობა მისი თანამოაზრეა და მასთან ერთადა ჰშრომობს. უნაყოფო არეულობის გამომწვევთ საფრანგეთის წარმატების მსურველად არაოდეს არ ჩასთვლის. ძლიერი თვისის პატიოსნებით, მოამაყე თვისის შეძლებით საფრანგეთი ყოველ დიადს აზრს ბანს აძლევს, არა აქვს არავითარი წინადვე სახეში ამონიშნული სწავლა-ქადაგება, მაგრამ ამავე დროს იგი სრულიად არ ეპყრობა გულ-ცივად იმ დიდს საქმეებს, რომელიც მთელს ქვეყანას აღელვებს. შესწავლა და გამორკვევა ამ საგნებისა, იმათი საფრანგეთის საერო გენიოსობასა, მამა-პაპურ გარდმოცემათა და ზნე-ჩვეულებასთან შეფარდება და შეთანხმება,—აი ის საქმე, რომელსაც პარლამენტი უნდა ემსახუროს. ამ მორიგებისა, მშვიდობიანობისა და საზოგადოებრივის სიმართლის აზრით შეერთდებიან ყველა კეთილის მსურველნი, რომ ასეთის საერთო თანხმობით, რესპუბლიკურის ძმობით გასუფთავდეს ნიადაგი და ზედ აღყვავდეს ქვეყნის ქონებრივი და ზნეობრივი კეთილ-დღეობა და წარმატება. სამართლიანის სიამაყით შეჰყურებს საფრანგეთი თვისს მხედრობასა და ფლოტს, რომელიც იქამდის ძლიერია, რომ ადვილად შეუძლიან ხმამაღლა აღიაროს თვისი მშვიდობიანობის მოყვარეობა, დიდი ყურადღება დაიმსახუროს; დღეს-კი საფრანგეთი ამ პროგრესისაკენ სვლის გარდა, ყველა ერს ერთნაირად მოიწვევს ამ შრომის—ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, მრეწველობისა, ვაჭრობისა და მიწათ-მოქმედების დიდს დღესასწაულში. საჭიროა, როგორც ერი, აგრეთვე საპოლიტიკო წრეები ერთისა და იმავე გრძნობით იყოს განმსჭვალული, ყველა ვისთვისაც-კი საფრანგეთის სახელია ძვირფასი. ეპისტოლე შემდეგის სიტყვებით თავდება: „აი, სწორედ ამ ერთობსა, რესპუბლიკის ძლიერებისა და დიდების წინ წასაწევად მოგიწვევთ ყველას და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ასეთი მოქმედებავე მხდის მთელის ჩვენის დემოკრატიის აზრებისა და სურვილის გამომხატველადაო.“

## სასამართლოს მატიანე

—

ქ. ეკატერინედარში სასამართლომ ორი საქმე გაარჩია, ერთისა და იმავე კაცის შესახებ. უმთავრესი გმირი ამ ამბისა იყო თერძი ურია მინდლინი, რომელსაც რკინის გზის მოხელეთა გამამწესებელს ეძახდნენ. როგორ ან რა ნაირად ჩაიგდო ამ კაცმა ეს უფლება, ეს გამორკვეული არ არის, მხოლოდ ეს-კი მართალია, რომ მინდლინმა ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ მთელი რკინის გზა ხელში ეჭირა. თუ ვისმეს კონდუქტორის ან ობერ-კონდუქტორის ადგილი უნდოდა, მიჰმართავდა ხოლმე მინდლინს და უთუოდ მიიღებდნენ სასურველს ადგილს. რასაკვირველია, ასეთი შუამდგომლობა „უქრთამოდ“ არ ჩაივლიდა. თითოეულისაგან 125 მ. 800 მანეთამდის იღებდა. დიდხანს სარგებლობდა თურმე ეს თერძი თავისის ხელობით, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ყველაფერი გამოააშკარავა.

კონდუქტორმა პროკოპოვმა 3000 მანეთი მისცა თურმე და სთხოვა ჯამაგირის მომატებაზედ იშუამდგომლეო, მაგრამ გადიოდა დრო და დაპირება არა სრულდებოდა. გაჯავრებულმა პროკოპოვმა ლაზათიანად გაჯოხა „თანამდებობანით მოვაჭრე“ ურია. შეურაცხყოფილმა მინდლინმა ოლქის სასამართლოში იჩივლა. საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ მინდლინს ქრთამები ულია, და ამიტომ კონდუქტორი გაანთავისუფლეს, მაგრამ საქმე ამით არ გათავდა; როდესაც ხმა გავრცელდა მინდლინის ბოროტ-მოქმედების შესახებ, ახლა თვით რკინის გზის სამმართველომ უჩივლა და სთხოვა ბრალმდებელს მინდლინი სამართალში მიეცა, რადგანაც მისი მოქმედება ჩირქსა სცხებს თვით რკინის გზის მმართველობასაო. ამ საქმის გარჩევა, მოწმების გამოუცხადებლობის გამო გადაიდო და ჯერ არა სჩანს, თვალთმაქცობდა ურია მინდლინი, თუ მართლა სხვა, განსაკუთრებული, სარჩული უძევს ამ საქმეს.

—

ქალაქს ვიაჟსკში ოთხად ოთხი ვექილი ყოფილა და ისინიც ყაზანის ოლქის სასამართლომ სამართალში მისცა. ეს ოთხი ვექილი არიან: ბროვკინი, ბულანოვი, ვინოგრადოვი და კრაკოვსკი. საქმის გარჩევა გვიჩვენებს რა ხალხიც ყოფილა ეს ვექილები: ვიღაცას ქ-ნს როსტოვსკაიას თავისს ქალისათვის ფულები გადაუხდევინებია და მომრიგებელ-მოსამართლეს აღმასრულებელი ფურცელიც მიუცია. ეს აღმასრულებელი ფურცელი საიდგანღაც ჩავარდნია ხელში ერთ-ერთს ზემოდ დასახელებულს ვექილთაგანს, შეუკრებია დანარჩენებიც და გადაუწყვეტიათ ისეთი ზედ-წარწერა გაეკეთებინათ, რომ ვითომ ქ-ნი როსტოვსკაია ნებას აძლევს ბ-ნ ბროვკინს იმან გადაახდევინოს ეს ფული. მაგრამ დახე იმათს შეცდომას! როდესაც ფულის გადახდევინება დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ წარწერა როსტოვსკაიას სიკვდილის შემდეგ იყო გაკეთებული და, მაშასადამე, სიყალბე შეემჩნათ. ოთხივე ვექილმა ბრალდებულის სკამზედ ამოჰყვეს თავი. ოლქის სასამართლომ ბროვკინს ხუთის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა, ხოლო დანარჩენები პერმის გუბერნიაში გადაასახლა. ამ გვარადაო, (ჩივის რუსეთის ჟურნალის ერთი კორესპონდენტი, მთელი ქალაქი უვექილოდ დარჩა, მაგრამ არც დიდი დანაკლისია ამ გვარ შუამდგომლების დაკარგვაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ მე და ჩემდამი რწმუნებული ლანჩხუთის წმიდის გიორგის ეკკლესიის მრევლი ბლაღოჩინ-მღვდლის გ. კანდელაკისა მეუღლეს მართა ლეკანის ასულს, რომელმაც ზემო აღნიშნულს ეკკლესიას შემოსწირა ერთი ხომლი, სამოც მანეთად ღირებული.

ბლაღოჩინი მღ. ნესტორ ურუშაძე.

---

ჯანი, ღონე, სხეული, გონი,—გახდება მსხვერპლი მეორე ხალხისა, რომელიც დაატანს თავს ძალას, რომ დიდი შრომით მეტი შეიძინოს სხვებზედ, და აქ გამოაცლის სხვათა ხელიდამ ბაზარს, მუშტარს, დასძლევს სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზზედ, გაიხდის თვით იმათაც თვისს მონათ. ამისგამო, პირველი, რომელიც დაადგება ამ გზას, თუ სხვებიც არ მოჰყვნენ ამაში, იქნება თავისი მტერი, თავისი საბოლოვის მკვლელი. მეორეს მხრივ, თუ ყველანი დღევანდელს კონკურენციის გზაზედ იდგებიან, უნდა ნიადაგ უმატონ ჯაფას, შრომას, აძალადონ თავისი ბუნება. ყველა იმას მოსდევს მოუძლურება ერებისა, კაცობრიობისა, კაცთა; მოსდევს ლილიპუტობა, ქონდრის კაცობა, სნეულება, საპყრობა. ეს გარემოება ძალაუნებურათ სძრავს კაცთა გონში აზრს, რომ მოელოს ამგვარს ყოფას ბოლო. ცხადია, რომ ამგვარი საბოლოვოს მომღები და კაცთა დამამხობელი გარემოება უნდა შეიცვალოს და ბოლო მოეღოს. ბოლოს მოღება ხერხდება მხოლოდ საკაცობრიო ინტერესების შეერთებით, სადაც კონკურენცია უნდა გაუქმდეს კაცთა ჯანისა და გონის შესასვენებლათ, მის წარსამატებლად, იშრომოს მხოლოდ იმდენი, რასაც იმისი ჯანი, აგებულება, გონი აიტანს, რომელიც-კი არ დასჩაგრავს კაცთა ბუნებას, პირიქით, ზომიერი ვარჯიშით წაიყვანს სისრულეში, წასწევს წინ.

ამათა და ამგვართა გარემოებათა მიჰყავთ კაცობრიობა გასაერთებლათ. აქ კოსმოპოლიტ-ევოლიციონისტთ ან უნდა უარ ჰყონ სარგებლობა კაცთა შეერთებისა, კაცობრიობის გაერთებისა, რადგან ამას, ცხადია, მოსდევს მოსპობა კონკურენციისა, ბრძოლისა ერთმანეთის ბოლოს მოსაღებად, ან უნდა აღიარონ, რომ თუ ეს შეერთება სასარგებლოა, კონკურენციისა და ერთმანერთის ბრძოლის მოსპობას უნდა მოსდევდეს წარმატება კაცთა, როგორც აგებულობით, აგრეთვე გონით, აგრეთვე ზნით.

მაგრამ გადავიდეთ თვით ევოლიუციონისტთა სპეციფიკური აზრის და სწავლის გარჩევაზედ.

მათის სწავლით *) ერთმანერთის ჟლეტას, საზრდოს ტაცებას, ცარცვას, სიტყვით ბრძოლას ერთმანერთთან ცხოვრებისთვის მოსდევს ევოლიუცია, პროგრესი, ესე იგი კაცთა აგებულებისა, ზნეობისა და გონების სისრულეში წასვლა, წარმატებაო. ამ ერთმანერთის ბრძოლაში, ჩაგვრაში, ჟლეტაში უარესნი წყდებიან, უკეთესნი რჩებიან. რადგან უკეთესთაგან უკეთესნი ჩამოდიან, ამისგამო უარესთა ჟლეტით და უკეთესთა დარჩენით—უკეთესობა გამრავლდება და თანდათან უფრო წარმატებაში წავაო.

*) ამ სწავლამ თავისი მავნე გზაზედ დადგომით იძულებული ჰყო სახელოვანი ბიოლოგი ჰეკსლი, თვითონაც ევოლიუციონისტი, გამოსულიყო და გაჰმკლავებოდა ამას საქვეყნოდ თავისს ოკსფორდის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა 18 მაისს 1893 წ.

დავანებოთ წარსულს თავი, და გადავავლოთ თვალი დღევანდელს დღეს, დღევანდელს წეს-წყობილებას, გარემოებას. ვნახოთ, ვინ სწყდება ცხოვრებისთვის ბრძოლაში. ვინ უნდა წავიდეს ჯარში საომრად? განა სუსტი, უძლური, უგუნური, სნეული, საპყარი, მახინჯი, მოხუცი, ძალიან ყმაწვილი? არა. არც ერთს სუსტს, არც ერთს მახინჯს, უგუნურს, საპყარს და სხვათა ამგვართა არ წაიყვანენ ჯარში, თუნდა თვითონაც რომ მოინდომონ. საომრად არჩევენ უკეთესთა: უნდა იყვეს ჰასაკში მოსული, დამკვიდრებელი ჭაბუკი, სწორეთ იმ ხნისა, როდესაც ის უნდა იძლეოდეს ჯანიანს შთამომავალს; უნდა იყვეს მოსული, ჯანმრთელი, სრული გონებისა, სრული აგებულებისა; უზადო სიმრთელისა. აი ესენი მიდიან ხალხიდამ და ხდებიან მსხვერპლნი ცხოვრებსათვის ბრძოლისა. ესენი ან იხოცებიან ბრძოლაში, ან თუ არა და სწორეთ იმ ხანში, როდესაც ისინი უნდა იძლეოდნენ უკეთესთა შთამომავალთა, რჩებიან უშთამომავლოთ. ამგვარათ ესენი ან იხოცებიან და ვინც არ იხოცებიან არ აძლევენ კაცობრიობას თავისს შთამომავლს, მაშასადამე ბრძოლაში ცხოვრებისათვის ვინ იხოცებიან: უკეთესნი თუ უარესნი? ამ ფაქტის წინააღმდეგი დღეს მაინცა ვერავის რა ეთქმის, უეჭველია ყველასათვის, ვისაც ჭეშმარიტების წინ თვალები არ დაუხუჭავს. რაკი ეს უკეთესნი იხოცებიან და უარესნი რჩებიან, მაშასადამე ვინ იმრავლებს ამ ცხოვრებისათვის ბრძოლაში? უარესთაგან, ევოლიუციონისტთავე თქმით, შენდება უარესი. მაშასადამე, თუ უკეთესნი იხოცებიან, აქედამ პროგრესი წარმოსდგება თუ რეგრესი, ევოლიუცია თუ დევოლიუცია? აქ, მგონი პასუხი ცხადია.

ეს ბრძოლა ფიზიკური. გადავიდეთ ეკონომიურს ბრძოლაზედ როგორც ცალკე პირთა შორის, ეგრეთვე ერთა შორის ერთმანერთში. რა რჩება აქ მძლეველი: პატიოსნება? ზნეობიანი გონება? ალტრუიზმი? კაცთ-მოყვარეობა? არა. ყველა ამას ალაგი არა აქვს ამ ბრძოლაში. ძლევა რჩება უპატიოსნობას, გაიძვერაობას, გამცემლობას, მუხანათობას, მოტყუებას, სიცრუვეს. მაშასადამე, რა თვისებანი უნდა წავიდნენ წინ ამ ცხოვრებისთვის ბრძოლაში? ყოვლივე საზიზღრება, სამარცხვინობა, რაცკი აღელვებს კაცის გაღვიძებულს ალტრუიზმულს და ეთიკურს კაცობრიულს გრძნობას. აი როგორ გვისახავს ლისტი ამგვარს ბრძოლას კაცთა შორის ერთმანერთში. ის ლაპარაკობს ვაჭრობასა და ვაჭრებზედ.

„ვაჭარი თავისი სურვილის მისაწდომათ... არ დაინდობს თვით თავისი ხალხის თავისუფლებასა და არსებობას. იმისთვის სულ ერთია, რა გვარი მოქმედება აქვს იმის შემოტანილს ან გატანილს საქონელს ქვეყნის ზნეობასა, შეძლებასა და დაუძლურებაზედ. იმას შემოაქვს, როგორც წამალი, ეგრეთვე საწამლავი. ის მთელს ნაციებს აუძლურებს და ჰღუპავს მით რომ შეაქვს იქ ბანგი, აფიანი (მოსაწევი და სასმელი) და არაყი. დაიღუპება თუ აშენდება ამისი შემოტანილი საქონლით ხალხი იმისთვის სულ ერთია, ოღონდ თავისი საქონელი გაანაღდოს და ჰნახოს მოგება. გაიქცევა თავისი ქვეყნიდამ ამის დამშეული ხალხი, ეს აქედამაც მოგებას ამოიღებს, გადიყვანს იმას უცხო ქვეყნებში. ომის დროს ის აძლევს ჩუმათ თავისს ქვეყნის მტერს იარაღს, საგზალს, რომ შესაძლებელი იყვეს, ის გაჰყიდიდა თავისი ქვეყნის მთელს ქონებას, უკანასკნელს სახნავ-სათესს, და როდესაც გაანაღდებდა უკანასკნელს თავისი ქვეყნის ნაჭერს მიწასაც და ჩაიჯიბავდა ამათში აღებულს ფულს, მაშინ თვითონაც ჩაჯდებოდა და თავისის გემით წაიყვანდა თავისს თავს თავისი აღმზრდელ მშობელი ქვეყნიდამ გადასახვეწათ“.

ადამ სმიტი ამბობს ერთგან: „ვაჭარს არც ერთს ქვეყანასთან არაფერი ინტერესი არ აკავშირებს. იმისთვის სულ ერთია, სადაც არ ვაჭრობს. ერთი ბეწვა უსიამოვნობა საკმაოა, რომ რომელსაც გინდა ქვეყანას თავი დაანებოს და თავისი ფულით, ვაჭრობით, საქონლით, საქმის წარმოებით გადავარდეს სხვა ქვეყანაში.“

ზემოთ ხსენებული ლისტი, რომელმაც საოცარი ლოღიკით, შეურყეველი საბუთებით დაურღვია მალტუსს და მისთა მიმადევართა მათი თეორია, რომ თუ კაცთა არ შეამცირეს თავისი გამრავლება, ქვეყანა ველარ დაიტევს და ვერ შეინახავსო ამათს

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 იანვარი

**ლონდონი.** იაპონელებს სურდათ იერიში მიეტანათ ჩიფუს სიმაგრეებზედ, მაგრამ უცხო ქვეყნელთა ესკადრებმა შეაჩერეს.

**სტამბოლი.** ვალი-ბითლის თახსიფფაში დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და იმისი თანამდებობა მიენდო დროებით საქმის გამომძიებელ კომისიის წევრს ეიმერ-ბეის.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდი, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ც. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაშენტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

საგენერალო შტაბის აკადემიაში სწავლა-დამთავრებული ოფიცერი მშვენივრად ამზადებს ოფიცრობის ეგზამენიის დასაჭერად, აგრეთვე სამხედრო და იუნკერთა სასწავლებელში შესასვლელად. ადრესი „ივერიის“ რედაქციაში.

(3—822—1)

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-ჰარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში** ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სტაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |

# „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.


შთამომავალს, ათავებს თავისს ლაპარაკს ამ გვარს საქმეზედ შემდეგი სიტყვებით:

„თუ მალტუსის თეორია გამოდგა თავისის ტენდენციით ვიწრო მოსაზულებისა,—მისი სახსარნი და ღონისძიებანი, რომელსაც გვიჩვენებს თავისი თეორიის მისაწდომათ, არიან ბუნების გარეგანნი, ბუნების წინააღმდეგნი, არიან დამღუპველნი ზნეობისა და მხნეობისა, არიან საზარელნი... ისა სცდილობს აქციოს კანონად უგულო ეგოიზმი; ისა თხოულობს, რომ დავახშოთ ჩვენს გულში სიბრალული დამშეულთა და გაჭირვებულთა, რადგან ეხლა რომ ისინი გავაძღოთ, ვასვათ—დავუბრუნოთ სიცოცხლე—შეიძლება ერთი ოცდაათის წლის უკან იმის მაგიერად სხვა დაიმშესო... ამ დოკტრინას შეუძლიან აქციოს ქვათ კაცთა გული. რას უნდა მოელოდე იმ ქვეყნიდგან, სადაც კაცთ ქვა უდევთ გულის მაგიერად? რას უნდა ელოდეთ აქ, გარდა ზნეობის სრული დაცემისა, მასთან მთელი ქვეყნის მწარმოებელთა ძალის მოღებისა, მთელის ქონებისა, ცივილიზაციისა და ნაციის დამხობისა?“

აი გზა, რომელსაც ადგია ეკონომიური ბრძოლა ცხოვრებისათვის.

ნუ თუ ვაჭარი, ან სხვა მრეწველი, ანუ მიწის მუშაკი, ან ვინმე სხვა, რომელიც დამდგარა იმ გზაზე, რომ შეიძინოს სხვაზედ მეტი და ამ აზრის მისაწდომად არა ჰზოგავს არავითარს ღონეს, უთუოდ მაღლა სდგას აგებულებით, გონით ანუ სხვა სიმარჯვით მაზედ, ვინც არა კადრულობს მას, რასაც ესენი კადრულობენ, უყვარს თავისი მეზობელი, ებრალება გაჭირვებული, აწვდის ხელს ობოლთა, ჩაგრულთა, დავრდომილთა, შემთხვევით ცხოვრებას ბორბალს ქვეშ მოტანილთა. რომ გადავავლოთ თვალი დღეს ჩვენსავე, თვალის წინ მმოძრავს ცხოვრების და ამ ცხოვრებაში მომქმედთ პირთ ვნახავთ სულ სხვასა. რაც უფრო მაღლა სდგას გონით,—ვამბობთ მეტს წილზედ,—იმდენი უფრო მაღლა სდგას ზნეობით, იმდენი უფრო ერიდება მას, რაცა ვნებს მის გარშემო დაჩაგრულთა და დევნულთა. კურსელ სენელი, რომელსაც ვაჭრობისა და ბანკების საქმე შესწავლული აქვს, ამბობს ერთგან, რომ ამ საქმის კაცთათვის დიდი გონი არ არის საჭირო, აქ საჭიროა უფრო შუათანა გონიო. სალს გონს უფრო ხშირათ შესწევს სალი აგებულებიცა, რადგან გონების სიმრთელე და სისაღე დამოკიდებულია აგებულობის სიმრთელესა და ძალაზედ. და სწორეთ ესეც უნდა იყვეს.

ევოლიუციონისტები ამბობენ, რომ ეკონომიური ბრძოლა მაინც უნდა დარჩეს, თუ ფიზიკური ბრძოლა დროთა გარემოებათაგან შესწყდაო. ამ ბრძოლაში, ვინც უფრო მკვირცხლათ დაიჭერს საქმეს საშვილი-შვილოთ, მეტს შეიძენს, ის გამოდგება აგებულებით, ძალით და გონით ძლიერი, ეს გადადის შთამომავლობაში, როგორც სამკვიდრო ნიჭი და ეს მოდგმა ძლიერდებაო. ამ ბრძოლაში, რა-კი ერთნი დიდს ადგილს იჭერენ ცხოვრებაში, სხვანი, რომელნიც ამათ ვერ გაუწევენ შუღლს, დგებიან ამათზედ უარესნი, იმშევიან, უძლურდებიან, ეს გადადის შთამომავალში სამკვიდროდ და ამითი შთამომავალი იღუპება, ბოლო ეღებაო. ამ გვარად უარესნი წყდებიან, უკეთესნი მრავლობენ და აქედამ მიდის კაცი აგებულობითა და გონით წარმატებაში, სდგება ევოლიუციაო. ვნახოთ, რაოდენად ან ეს უნდა იყვეს ასრე.

დავადგეთ თვით ამავე ევოლიუციონისტთა ვარჯიშის ძალას. დარვინმა მთელი თავისი თეორია ააშენა იმაზედ, რომ ვარჯიში აძლევს აგებულებასა და გონს წარმატებასაო. ამასთან ესეც გამოჰყავთ ამასა და ამისთა მიმადიერთა სწავლიდამ, რომელსაც აგრეთვე ცხადადაცა ვხედავთ ცხოვრების ყოველს ნაბიჯზედ, რომ, როგორც გადაჭარბებული ვარჯიში, აგრეთვე ვარჯიშის ნაკლი აუძლურებს სხეულსა. ვარჯიშის ნაკლზედ ხომ დარვინი ამბობს, რომ ის სხეული, რომელსაც ვარჯიში არა აქვს, თანდათან იშლება აგებულებაში და ბოლოს მრავალთა ჟამთა განმავალობაში კიდეც ჰქრებაო. აი, დავადგეთ ჩვენც ამ მხრივ საქმის გარჩევას. ვნახოთ, რაოდენად უმართავს ხელს შეძლებულთა კაცთა თავისი შეძლება გონისა და აგებულების წარმატებას.

კაცი, რომელიც დღეს იძენს ქონებას, ის არის მოქმედებაში გონითაც და ხშირად აგებულებითაც. მაგრამ გადავავლოთ თვალი მათთა შთამომავალთა. იმათ დარჩენიათ დიდი შეძლება, უშრომლოდ ცხოვრება. რამ უნდა აიძულოს ისინი, რომ შეიწუხონ თავი ან გონების მუშაობით ანუ აგებულობის შრომით?—არაფერმა... ცხადია, რომ თავისი ჯანისა და თვის დასაცველათ კიდეც ავარჯიშოს გონი და აგებულება, იმდენათ არ ავარჯიშებს, რამდენათაც საჭიროა მათი ჯეროვანი წარმატება. ცხადია, რა-კი არა აქვს ზომიერი ვარჯიში, იმის აგებულებისა და გონის წარმატებაც ვერ მიდის ჯეროვანს წარმატების გზაზედ. ეს ერთი მხარე. ამ უმოძრაობას მოსდევს ახლა დამძიმება სხეულისა უზომო ჭამა სმით. რაოდენათაც იმას აუძლურებს უშრომლობა, იმოდენათ ახლა მისი აგებულების და გონის მჩაგრავ ტვირთათ ევლინება მოჭარბებული საჭმელი და სასმელი. კუჭი მისი ნიადაგ დატვირთულია უზომო საჭმლით, ცხარე და მავნებელი სასმელებით, ყური მისი მოჭარბებული საკრავებისა და სამღერების სმენით, თვითონ მოჭარბებული ეროტიული სიამოვნებით, თეატრებსა, ბალებსა, თამაშობასა და სხვა ამგვართა შესაქცევართა და დროს გასატარებელთა გასართობებით და ღამის ტეხით და სხვა და სხვა. ამ გვარად ერთ მხრივ უვარჯიშობით, მეორეს მხრივ მეტი ვარჯიშით, ეს უძლურდება, და არამც თუ არ იძლევა სალს აგებულებით და გონით შთამომავლობას, პირიქით იძლევა, რასაც ჩვენის საკუთარი თვალით კიდეცა ვხედავთ ყოველს ნაბიჯზედ, უჯანოს, უძლურს, უგონო შთამომავლობას. ასრე რომ მთელი გვარები ისპობიან ამ გვართა შთამომავალთა, თუ არ განაახლეს სისხლის შერევით სხვა სალი გვარებიდამ თავისი სისხლი, რომელზედაც მთელი ტრაქტატებია მეცნიერებაში შედგენილი. დუბლდე თავისს ტრაქტატში გამრავლების შესახებ ორგანიულს არსებებში ამტკიცებს, რომ საზრდოს სიჭარბეს მოსდევს უშვილობაო, უნაყოფობაო. ერთი უმთავრესი ევოლიუციონისტთაგანი სპენსერი თავისს «საფუძველნი ბიოლოგიისა» ამბობს, რომ მოჭარბებული საზრდო ვნებს როგორც მცენარეთა, აგრეთვე სულდგმულთა. საზრდო იმდენი უნდა მიიღოს, რამდენიც საჭიროა თავის შესანახად, გამოსაზოგავად აგებულობაში იმ მასალისა, რომელიც საჭიროა შთამამავლობის მოსაშენებლათ, და რაც ამას გარეთ მიდის აგებულობაში საზრდო, ვნებს და ჰბადებს უნაყოფებასაო. ესევე მოსდევს საზრდოს ნაკლებულობას, რადგან არც თავის შესანახი და არც გამოსაზოგი საზრდო მასალად შთამამავლის სამრავლებლათ არ შედის ამ ორგანიზმშიაო.

ანტონ ფურცელაძე

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Января 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.